



**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის**

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46**

ქ.ბათუმი

04/06/2018

46-06-4-201806041506



**მინდია დიასამიძის ქ. თბილისში მივლინების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2018 წლის 04 ივნისის №154/06 მომართვისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მინდია დიასამიძის 2018 წლის 04 ივნისის №129-06 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

1. **მინდია დიასამიძე**-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მივლინებული იქნეს ქალაქ თბილისში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასევე „USAID“-ის დემოკრატიული მმართველობის მხარდაჭერით განხორციელებულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად **2018 წლის 04 ივნისიდან 06 ივნისის ჩათვლით**.
2. გადაადგილება მოხდეს ავტომანქანით „**ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადო**“ **სახელმწიფო ნომერი MS-040-SS** და გამოიყოს საწვავი (დიზელი) 120 ლიტრის ოდენობით.
2. ბრძანების შესრულება დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს საკრებულოს მეორად სტრუქტურულ ერთეულს - საქმისწარმოების განყოფილებას.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნადიმ ვარშანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე